დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №1

ქ. დმანისი

23 იანვარი 2026 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. სოფიო ასლამაზაშვილი
6. ლერი ბერუაშვილი
7. მურაზი აბრამიშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. ილია სარსევანიძე
11. ემზარი პეტრიაშვილი
12. ნოდარი ადუაშვილი
13. დავით დაუთაშვილი
14. გიორგი გურჩიანი
15. სტამბულ ისაევი
16. ქამრან მამედოვი
17. მიხეილ დაუთაშვილი
18. შოთა აკობაშვილი
19. ემილ იბრაგიმოვი
20. თეიმურაზ მენაბდიშვილი
21. ირაკლი მუჯირიშვილი
22. აიდინ შარიფოვი
23. შაქირ ჩერპანოვი
24. ლომა გადრანი
25. ლია კავლელაშვილი
26. გოჩა გოჩაძე
27. ვაგიფ მუსაევი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 12. 40

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**	
2	**განკარგულება:** „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	
3	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	
4	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253581 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**მ.ოკმელაშვილი**	
5	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ		
	მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**	
6	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ		
	მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**	

7	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა) აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
	მომხსენებელი: **ნ.სამადაშვილი**
8	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
	მომხსენებელი: **ნ.სამადაშვილი**
9	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტში 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე
	მომხსენებელი: **ლ.მანთაშაშვილი**
10	**განკარგულება:** „პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე
	მომხსენებელი: **მ.ასლანიშვილი**

1. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ #102 განკარგულების შესაბამისად, დანართი #46-ში ჩამოთვლილი პროექტების განსახორციელებლად, დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო **3.781,6** ათასი ლარი, რომელიც აისახოს „შემოსულობების“ „გრანტი“-ს კოდში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 3.781,6 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
2) საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ #85 განკარგულების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო **686,0** ათასი ლარი, რომელიც აისახოს „შემოსულობები“-ს „გრანტი“-ს კოდში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული

მუხლი განისაზღვროს 686,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

3) სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის #NCDC_9_26_00014095 წერილის საფუძველზე დმანისს გამოეყო 207,0 ათასი ლარი, სხვაობა არსებულ თანხასთან შეადგენს **15,3** ათას ლარს, რაც აისახოს „შემოსულობები"-ს „გრანტი"-ს კოდში და შესაბამისად „გადასახდელები"-ს ორგანიზაციული კოდი 06_01_01 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა"-ს „სუბსიდია"-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 191,7 ათასი ლარისა განისაზღვროს 207,0 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

4) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის #2260 „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" განკარგულების შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტს 2026 წლისთვის გამოეყო **551,2** ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახული იქნეს ორგანიზაციული კოდი 04_03 "საჯარო სკოლების დაფინანსება"-ს „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 551,2 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

5) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2026 წლის 22 იანვრის #02-1082602216 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შემოსულობების" „გრანტი"-ს კოდში და შესაბამისად „გადასახდელები"-ს 06_02_11 ორგანიზაციულ კოდში „შშმპ პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა" აისახოს 2025 წლის დეკემბრის თვის გამოყოფილი თანხა **17,9** ათასი ლარის ოდენობით შემდეგი მუხლების მიხედვით:
   - ✓ საქონელი და მომსახურება - 0,9 ათასი ლარი;
   - ✓ სოციალური უზრუნველყოფა - 17,0 ათასი ლარი;

   შესაბამისად, „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლი ნაცვლად 10,7 ათასი ლარისა განისაზღვროს 11,6 ათასი ლარით, ხოლო „სოციალური უზრუნველყოფა"-ს მუხლი ნაცვლად 203,3 ათასი ლარისა განისაზღვროს 220,3 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

6) დმანისის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან, რომელიც შეადგენს 3.724,8 ათას ლარს, 2025 წლის აღებული ვალდებულებების დასრულებისთვის და 2026 წელს დაგეგმილი პროექტების დაფინანსების მიზნით მიმართული იქნეს **3.679,9** ათასი ლარი. მათ შორის:
   - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი აუთვისებელი ნაშთი **1.287,4** ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მიმართული იქნეს:
     - ✓ ორგანიზაციული კოდი 01_02_04 „თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს

მუხლში **118,1** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 118,1 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

- ✓ ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **878,8** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 3.781,6 ათას ლარისა განისაზღვროს 4.660,3 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 02_04_02 „ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **68,6** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 68,6 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **109,8** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 109,8 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში **10,0** ათასი ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **15,7** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 686,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 701,7 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 04_03 „საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში **86,5** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 551,2 ათასი ლარისა განისაზღვროს 637,7 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

- საკუთარი შემოსავლებიდან აუთვისებელი ნაშთი **2.392,5** ათასი ლარის ოდენობით მიმართული იქნეს:
  - ✓ ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში **42,5** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.534,6 ათასი ლარისა, განისაზღვროს 1.577,1 ათასი ლარით, ხოლო ამავე კოდის „გრანტი“-ს მუხლში **10,0** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 25,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 35,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
  - ✓ ორგანიზაციული კოდი 02_01_01 „გზების მიმდინარე მოვლა შენახვა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში **50,6** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 45,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 95,6 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
  - ✓ ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **1.565,7** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.922,4 ათასი ლარისა განისაზღვროს 3.488,1 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

- ✓ ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია“-ს „გრანტი“-ს მუხლში **94,7** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 155,3 ათასი ლარისა განისაზღვროს 250,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **264,7** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 968,6 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.233,3 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა–რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **115,9** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 278,8 ათასი ლარისა განისაზღვროს 394,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში **20,4** ათასი ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **11,4** ათასი ლარი, შესაბამისად „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი განისაზღვროს 20,4 ათასი ლარით, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი ნაცვლად 1.200,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.211,4 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 02_07 „საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **60,2** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 550,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 610,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 03_03 „კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **50,0** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 30,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 80,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 04_03 „საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში **35,9** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 35,9 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 05_02_04 „კულტურული ღონისძიებები“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლში **2,5** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 130,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 132,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ✓ ორგანიზაციული კოდი 06_02_06 „ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში **68,0** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 200,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 268,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **36 498,4** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: არცერთი

2. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე

დამტკიცდეს განკარგულების დანართით წარმოდგენილი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებს:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაციას;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა პოსტავტორიზაციის პროცესში, ავტორიზაციის სტანდარტებთან (ინფრასტრუქტურის ნაწილში) შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერას;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის, შენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების, დაფინანსებას/განხორციელებას;

დ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობაში ან/და ეზოში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინვენტარით აღჭურვას;

ე) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობას/აღჭურვას;

ვ) საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას;

ზ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირებას/საწვავის/ბრიკეტების/შეშის შესყიდვას.

აზრი გამოთქვეს: ოლეგი გოშუანმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: არცერთი

3. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №-109.109253582 განკარგულების „რ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული

,,ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06)“ დანართი N17 - ის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი:

„პ) კვირაში ორი დღე - სოფელი იფნარი, ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი იფნარის მიმართულებით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 27

წინააღმდეგი: არცერთი

4. მომხსენებელმა: მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253581 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253581 განკარგულების „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი N2):

ა) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 4. ყოველთვიური წახალისების მისაღებად წარჩინებულ სტუდენტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ყოველთვიური წახალისების მისაღებად ყოველი ახალი სასწავლო სემესტრის დასაწყისში (1 მარტიდან 15 მარტამდე და 1 აგვისტოდან - 15 აგვისტომდე) სტუდენტებმა მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ ამონაწერი (საინფორმაციო ბარათი);

დ) სოციალურად დაუცველი სტუდენტების შემთხვევაში ცნობა ან ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის თაობაზე;

ე) ცნობა (დედანი) აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ, სასწავლო კურსისა და სემესტრის მითითებით;

ვ) სახელმწიფო აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლიდან წინა სემესტრული შეფასების შესახებ ამონაწერი/ე. წ სტუდენტის ბარათი, რითაც სტუდენტის მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((A)ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი-შეფასების 81-90ქულა);

ზ) პირადი ანგარიშის საბანკო რეკვიზიტები.“

ბ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 5. სპორტსმენების ყოველთვიური ფულადი წახალისება

1. ყოველთვიური ფულადი წახალისება გაეწევათ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ან ფაქტობრივად მცხოვრებ სპორტსმენებს, რომლებიც მიმდინარე წელს ან

გასული წლის ნოემბრის ან დეკემბრის თვეში გახდებიან: ინდივიდუალური სპორტის სხვადასხვა სახეობაში (დიდებში და ახალგაზრდებში) საქართველოს, ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონები/პრიზიორები – 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. სპორტსმენზე ყოველთვიური ფულადი წახალისება (სტიპენდია) გაიცემა მხოლოდ სპორტის ერთი სახეობის მიხედვით (მიუხედავად სხვადასხვა სპორტის სახეობაში მიღწეული შედეგებისა) 12 თვის განმავლობაში.

3. სპორტსმენების ყოველთვიური ფულადი წახალისება, განცხადების წარდგენიდან ერთი წლის განმავლობაში, გაიცემა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სპორტსმენთა პირად საბანკო ანგარიშზე, ან არასრულწოვანების შემთხვევაში მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე."

გ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ე) არასრულწლოვნის შემთხვევაში პირადი, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები."

დ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

"მუხლი 7. სპორტსმენების ერთჯერადი მატერიალური დახმარების (ფულადი ჯილდო) მიღების კრიტერიუმები

1. დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული სპორტსმენი, რომელიც მიმდინარე წელს ან გასული წლის ნოემბრის/დეკემბრის თვეში, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჩემპიონატში (დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში) და დაიკავებს საპრიზო ადგილს:

ა) I ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1000 ლარი;

ბ) II ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 800 ლარი;

გ) III ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 500 ლარი.

2. დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული სპორტსმენი, რომელიც მიმდინარე წელს ან გასული წლის ნოემბრის/დეკემბრის თვეში, მონაწილეობას მიიღებს, ევროპის ჩემპიონატში (დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში) და დაიკავებს საპრიზო ადგილს:

ა) I ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1500 ლარი;

ბ) II ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1200 ლარი;

გ) III ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1000 ლარი.

3. დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული სპორტსმენი, რომელიც მიმდინარე წელს ან გასული წლის ნოემბრის/დეკემბრის თვეში, მონაწილეობას მიიღებს, მსოფლიო ჩემპიონატში (დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში) და დაიკავებს საპრიზო ადგილს:

ა) I ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 2000 ლარი;

ბ) II ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1800 ლარი;

გ) III ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1500 ლარი.

4. ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის მწვრთნელი, რომლის მიერ მომზადებული სპორტსმენი გახდება საქართველოს/ევროპის/მსოფლიოს ჩემპიონი ან დაიკავებს საპრიზო ადგილს, ერთჯერადად მიიღებს ფულად ჯილდოს, მიუხედავად პრიზიორ სპორტსმენთა რაოდენობისა:

ა) საქართველოს ჩემპიონი - 700 ლარი, II ადგილი - 500 ლარი, III ადგილი - 300 ლარი;

ბ) ევროპის ჩემპიონი - 1000 ლარი, II ადგილი - 800 ლარი, III ადგილი - 600 ლარი;

გ) მსოფლიო ჩემპიონი - 1400 ლარი, II ადგილი - 1200 ლარი, III ადგილი - 1000 ლარი;

დ) სხვადასხვა საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება საუკეთესო შედეგს."
ე) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
„ვ) სპორტსმენის დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.“
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი
მომხრე: 27
წინაღმდეგი: არცერთი
5. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი
დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ
დადგენილების მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა, საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისად.
ქ. დმანისში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

IMG	ITL	C	K	CN (ლარი)
0,23	1,0	0,24	45	2,484

დმანისის მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიებზე მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. დმანისისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1,242 ლარს.
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი
მომხრე: 27
წინაღმდეგი: არცერთი
6. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი
დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა/გეგმა დანართის შესაბამისად (თან ერთვის).
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი
მომხრე: 27
წინაღმდეგი: არცერთი
7. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი
დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა) აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში მდებარე მიწის ნაკვეთი, 209 კვ.მ. და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა N1 (საკადასტრო კოდი: 82.05.44.458), აღნაგობის ფორმით, 99 წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას (ს.ნ. 204395537), ეკლესიის დამხმარე ნაგებობის მოწყობის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: მურაზი აბრამიშვილმა
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი
მომხრე: 27
წინააღმდეგი: არცერთი
8. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მიეცეს თანცმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დმანისში, 9 აპრილის ქ. N32-ში მდებარე შენობა-ნაგებობის 361,12 კვ.მ ფართიდან (ს.კ. 82.01.46.485) 242,48 კვ.მ ფართი, სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს ერთი წლის ვადით (2026 წლის პირველ იანვრიდან 2027 წლის პირველ იანვრამდე).
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი
მომხრე: 27
წინააღმდეგი: არცერთი
9. მომხსენებელმა: ლევანი მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტში 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე
განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილი 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხას

2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა				
N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ქ. დმანისი შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია	გზები	808,907.00	
2	ქ. დმანისი გაბაშვილი ქუჩის რეაბილიტაცია	გზები	505,398.00	
3	სოფ მაშავერაში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია	შენობა-ნაგებობა	515,000.00	

4	სოფ განთიადის საბავშო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია	შენობა-ნაგებობა	123,688.00	
5	სოფ გომარეთის საბავშო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია	შენობა-ნაგებობა	122,977.00	
6	ზეზვას და მზიას ძეგლის დამზადება	კეთილმოწყობა	200,000.00	
7	სოფ კიზლაჯლოში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები	კეთილმოწყობა	120,000.00	
8	ქ. დმანისში სააკაძის ქუჩის რეაბილიტაცია	გზები	600,000.00	
9	ქ. დმანისში ტურისტული ცენტრისთვის შენობის მშენებლობა (სვანური კოშკი)	შენობა-ნაგებობა	450,000.00	
10	სოფ. ჯავახის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	გზები	515,665.00	
11	2025 რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება	სხვა	654,600.00	
12	2025 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	1,200,000.00	
13	2025 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურება	სხვა	280,000.00	
14	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	სხვა	270,000.00	
			6,366,235	

აზრი გამოთქვეს: ლომა გადრანმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: არცერთი

10. მომხსენებელმა: მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ცნობად იქნეს მიღებული ,,პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ ანგარიში, რომლის მიხედვითაც მოთხოვნის

დაკმაყოფილების მაჩვენებელი შემდეგია: 3 განცხადებაზე - დადგინდა, 7 განცხადებაზე - არ დადგინდა, ხოლო ერთი განცხადება განსახილველად გადავიდა 2026 წელს.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 27

წინააღმდეგი: არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი ტარიელ პაკელიანი

დანართი

დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა/გეგმა

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა კვ.მ	საბაზრო ღირებულება (ლარში)	აუქციონის ფორა (უპირობო/პირობიანი)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი	შენიშვნა
1	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. კიზილქილისა	82.11.41.008	222	92.2	11440	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
2	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი	82.01.46.807	2445		122250	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
3	სასოფლო-სამურნეო (სათიბი)	ქ. დმანისი	82.01.42.951	276		12420	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
4	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტის ს. ქვემო ოროზმანი	82.14.42.436	1873		14984	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
5	სასოფლო-სამურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. შინდლარი	82.10.42.152	20000		30000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
6	სასოფლო-სამურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. შინდლარი	82.10.42.153	20000		30000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
7	მეორადი გამოყენების ხიდი	მდებარე ქ. დმანისი 9 აპრილის ჩიხი N4				5139	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
8	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი საფარლო	82.15.41.821	3602		28816	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
9	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო კარაბულახი	82.07.47.899	2457		12285	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
10	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვარდისუბანი, 1-ლი ქუჩის I შესახვევი, N 14	82.12.48.568	13128	ნანგრევი 555 კვ.მ	31806	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
11	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქუჩა	82.01.46.1005	1902	N1 -485 კვ.მ, N2-53 კვ.მ	144165	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
12	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	ქ. დმანისი	82.01.47.080	30000		60000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	